№ 98

სამშაბათი, 12 მაისი, 1898 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 98

სამშაბათი, 12 მაისი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## მევენახეთა საყურადღებოდ.

### ისყიდება

## ვერმორელის აპარატები

(ვაზის სასხურებელი მანქანა)

ადგილობრივ გაკეთებული და გაუმჯობესებული, რომელიც საზღვარგარეთიდგან მოტანილზედ 5—6 წლით უფრო დიდ ხანსა სძლებს. ჩემ გაკეთებულ აპარატზედ ამოჭრილია შემდეგი წარწერა:

Механическое Водопроводное Заведеніе
**С. И. Лазарева**
სამეხანიკო ქარხანა ს. ი. ლაზარაშვილისა

**ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ: Тифлисъ Сергіевская ул., д. Кетхудова № 9. (3—83—3)

,,კრებულის“ რედაქციისაგან

„კრებულის“ № IX-ის (მაისის) დაბეჭდვა აკაკის ავადმყოფობის გამო დაგვიანდა და მხოლოდ ამ თვის უკანასკნელ რიცხვებში გამოვა. (3—1)

რადგანაც წლიური საზოგადო კრება **„ქართველ ქალთა ამხანაგობის“ წევრთა** 9 მაისს არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, ამიტომ კრება დანიშნულ იქმნა 16 მაისს, საღამოს 7 საათზედ, ამხანაგობის სახელოსნო სკოლის სადგომში, ბარიათინსკის ქუჩაზედ, ფედოროვის სახლში, № 10.

განსახილველი საგნები:

1) წლიური ანგარიში ამხანაგობის მოქმედებისა 1897 წელს.

2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა.

3) მოხსენება გამგეობისა სახელოსნო სკოლის გაუმჯობესების შესახებ.

4) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ 1898 წლისა.

5) მოხსენება ალებ-მიცემობის შესახებ.

6) გამგეობის ოთხის წევრის არჩევა. (4—უ.—1)

17 მაისს, საღამოს 7 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

**ჩვეულებრივი წლიური კრება**

ქართველთა საალებ-მიცემო ამხანაგობის

## ,,შუამავლისა“.

კრებას წარედგინება განსახილველად წლიური ანგარიში ამხანაგობის საქმეებისა, სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1898 წლისა და ცალკე მოხსენებანი შესახებ ამხანაგობის ზოგიერთ საქმეებისა.

წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები.

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(უკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. ა. ი. რუდენკო. $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით და ბავშვები. ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ვ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი – 6 – 7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову (წ)

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძა სამსახურის წელთა შესრულებისა გამო კოლეჟსკი სოვეტნიკობა—კავკასიის გზათა უწყების ოლქის გამგეობის იურისკონსულტს და კანცელარიის გამგეს თანამდებობის აღმასრულებელს გ ა ბ ა შ ვ ი ლ ს.

დანიშნულ იქმნა ტფილისის ოლქის გამგეობის კანცელარიის მოხელე, კოლეჟსკი რეგისტრატორი ალექსანდრე წ ე რ ე თ ე ლ ი —ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მე-5 ხარისხის მოხელედ.

გადაყვანილ იქმნა ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონი ანდრია სხულუხია—კახის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში.

## ახალი ამბავი

*** 15 მაისს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავმჯდომარეობით გამართულ იქმნება კრება მაზრების წინამძღოლთა და თავად-აზნაურთა დეპუტატებისა. კრებამ უნდა განიხილოს პეტერბურგიდგან გამოგზავნილი პროექტი სათავად-აზნაურო საურთიერთო დამხმარებელ კასსისა.

*** გუშინ, ორშაბათს, 11 მაისს, საღამოს 9 საათზედ, უეცრად გარდაიცვალა ცნობილი ფოტოგრაფი ალექსანდრე როინაშვილი. განსვენებული დიდი ქველმოქმედი იყო და სულითა და გულით მამულიშვილი. როგორც ამბობენ, ანდერძის ქაღალდი დაუტოვებია და მთელი თავისი ქონება უანდერძია „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. პანაშვიდი დღეს იქნება ნაშუადღევის 1 საათსა და საღამოს 8 საათზედ.

*** წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიამ მიიღო გასასყიდად Очерки по исторіи грузинской словесности вып. II ალ. ხახანაშვილისა, ღირებული 2 მ. 40 კ.

*** ხუთშაბათს, 7 მაისს, ქალაქის სამოსწავლო კომისიამ დაადგინა სამი ახალი სასწავლებელი დააარსოს ვერასა, ავლაბარსა და კუკიაში, მუშტაიდის მახლობლად. სასწავლებლების გამგეებად დანიშნულ იქმნენ: ვერისაში—ქ-ნი ჩაჩიბაია, ავლაბრისაში—ქ-ნი ტიმოფეევი და კუკიისაში—ქ-ნი შანშიევი.

*** ამ ჟამად ტფილისის ქალაქის გამგეობა და ზოგიერთა ხმოსნები იმის მოლაპარაკებაში არიან, თუ მტკვრის რომელი ნაპირი სჯობიან ქალაქის ელექტრონით გასანათებლად საჭირო საელექტრონო მანქანების დასადგმელად.

*** 9 მაისს ქალაქის გამგეობის დარბაზში კრება ჰქონდათ იმ კომისიის წევრთ, რომელთაც მინდობილი აქვთ ქალაქის ქუჩების სახელების დარქმევის საქმის გამორკვევა. კრებამ დაადგინა მუშაობა დაიწყოს მე-3 ნაწილიდგან, რომლის გეგმაც უკვე შემუშავებულია და მერმე სხვა ნაწილებს მიჰყოს ხელი.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების სესსია დაიწყებს საქმეების განხილვას ქალაქ ახალქალაქში 18 მაისს, ხოლო ახალციხეში 25 მაისს.

*** არ იქმნა, არაფერი ეშველა ჩვენ ყასბებს და იმათ თავ-გასულობას ბოლო ვერ მოუღო. თუმცა ნიხრით ძროხის ხორცი ჰღირს 8 კაპ. და ცხვრისა—9 კაპ., მაგრამ ისინი 10—12 კაპეიკსა და მეტსაც იღებენ. თუ ეს ფასი არ მიეცი, კარგადაც გამოგლანძღავენ და ისე გაგისტუმრებენ. საკვირველია, რომ მათ დაჯარიმებისა სრულიადაც არ ეშინიანთ. სავაჭრო პოლიციის მოხელენიც, რომელთა ვალდებულებაც არის თვალ-ყური ადევნონ ყასბებს, ყურს მიუყრუვებენ ხოლმე და პასუხის-გებაში არ აძლევენ. ამის გამო პოლიცმეისტერს წინადადება მიუცია ბოქაულებისათვის ოქმი შეუდგინეთ იმ ყასბებს, რომელნიც ხორცს ნიხრზედ მეტ ფასადა ჰყიდიანო.

*** გაზ. „კავკასს“ დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან, რომ ნაფიცი ვექილი თოფჩიბაშევი დანიშნულ იქმნა გაზ. „კასპისა“ და „ბაქოს სავაჭრო-სამრეწველო ფურცლის“ რედაქტორადაო.

*** ტფილისის გუბერნატორმა თ. ა. ბიკოვმა, გაზ. „კავკასის“ სიტყვით, მოსთხოვა მაზრის უფროსებს, რომ ამა წლის პირველ ივლისისათვის გამოუგზავნონ დაწვრილებით ცნობები იმის შესახებ, რამდენს სოფელზედ არის დარჩენილი შესატანი პური სამეურნეო-სასოფლო თანხაში, როდის აქეთ არ შეუტანიათ, როდის უნდა შეიტანონ და ვინ ან როდის მისცა მათ ნება, რომ ეს გარდასახადი შემდეგ შეიტანონ. ხშირად მაზრის უფროსები გარდასახადის შეტანის ვადას გადასდებენ ხოლმე, ამიტომ გუბერნატორმა მოსთხოვა ეხლა, რომ უიმისოდ არც ერთხელ არ გადასდონ ეს ვადა, არამედ ყოველთვის შეატყობინონ ხოლმე. ამის გარდა, გუბერნატორმა მოსთხოვა მათ ცნობები იმის შესახებ, რომელი სოფლები არ იღებენ მონაწილეობას სამეურნეო-სასოფლო თანხაში და რამდენი კომლია ასეთს სოფელში.

*** ფოთიდგან სწერენ გაზ. „ტფ. ფ.“-ს: „წარსულ ორშაბათს კინაღამ დასწვეს ის სახლი, სადაც ქალაქის მოურავი ნ. ი. ნიკოლაძე სცხოვრობს. რადგანაც ნიკოლაძის სახლს, საიდგანაც წინა ღამეს სხვა-და-სხვა ნივთები მოიპარეს, თვალ-ყურს ადევნებდნენ, დამნაშავენი დროით შეიპყრეს. როგორც უკვე გამოირკვა, ბოროტ-განმზრახველს ლამე ფარნიდგან ლამპა ჩამოუღია, ნავთი მიუსხამს იმ სახლის კუთხეზედ, სადაც ნიკოლაძეს ბინაა და შემდეგ ცეცხლი წაუკიდებია. აპრიალებულმა ალმა პოლიციელის ყურადღება მიიპყრო თურმე, რომელიც მაშინვე გამოსდგომია ბოროტ-განმზრახველს და შეუპყრია. შემდეგ ცეცხლიც მალე ჩააქრეს. ჯერ არ იციან ბოროტ-განმზრახველის ვინაობა. ამბობენ მხოლოდ, რომ გურულია და სახლს ცეცხლი იმიტომ წაუკიდა, რომ სამაგიეროდ გადაეხადა ნიკოლაძესთვის, რადგანაც იმის სახლიდგან მოპარულის ნივთების გამო პოლიციამ რამდენიმე ბოროტ-განმზრახველის ამხანაგი დააპატიმრაო“.

*** გაზ. „ახ. მიმ.“ ბათუმიდგან ატყობინებენ, რომ 9 მაისს ქუთაისის ოლქის სასამართლოს განყოფილებამ განიხილა სახნეტოვისა და სვიმონოვის საქმე, რომელთაც წამხდარ ფქვილის გასაღება ჰბრალდებათ და დაადგინა: სახნეტოვი დაპატიმრებულ იქმნას 3 თვით და სვიმონოვს ჯარიმად გარდაჰხდეს 300 მანეთიო.

## შემოწირულება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გასამართ ბაზრობას შემოსწირეს: დარია რომანოზის ასულმა მრევლიშვილმა ერთი ბალიში; კნ. ეკატერინე ივანეს ასულმა ვაჩნაძისამ—თორმეტი ნივთი; თინათინა ეგაძისამ—ერთი ჯეჯიმი; მართა მიხეილის ასულმა ქართველიშვილისამ—ორი კალათა ყვავილებით; კნიაჟნა მარიამ რევაზის ასულმა ვახვახიშვილისამ—წიგნების ჩასაწყობი. კავკავიდგან: ელისაბედ მოზდოკელოვისამ—[illegible] ფეჩისლუკების ბოხჩა და სამკაულების ჩასაწყობი; ბროლიას ყუთი და ეკატერინე დიმიტრის ასულმა ფურცელაძისამ—5 მანათი ფულად.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. ერედვი** (გორის მაზრა), 4 მაისი. არა ერთხელ გვიჩივლია, რომ ამოდენა სოფელი დატოვებულია უყურადღებოდ. არავითარი წეს-რიგი, არ არის გზა და გვალი და სკოლა, მაგრამ ჩვენი ხმა რჩება ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა. თუმცა ერთხელ სიხარულით მივეგებენით იმას, რომ მობმანდა გორის მასწავლებელი ბ-ნი დავითაშვილი, მოუყარა თავი გლეხობას და მოხერხებულის რჩევა-დარიგებით დაითანხმა სკოლის დაარსებისათვის. მერე მოუყარა თავი თავადიშვილებს, რომელთაც იკისრეს შემწეობა ყოველ-წლივ ზოგმა თუმანი, ზოგმა ხუთი მანეთი. გვეგონა ეს არის ველირსებით სკოლასაო, იმედი გვქონდა, მაგრამ დღესაც ველით. გარდა ამისა, სკოლისათვის მასალა სულ მთლად მომზადებული იყო, მაგრამ სკოლას რიგიანი პატრონი და მზრუნველი რა-კი არავინ აღმოუჩნდა, მასალა სულ ერთიანად დაითვანტა, წაიღ-წამოიღეს ზოგმა ქურდულად, ზოგმა სესხად.

თუ კიდევ იმედმა არ გვიმტყუვნა და არ გაგვიცრუვდა სიხარული, 2 მაისს ბმანდებოდა სოფლების სკოლების მზრუნველი მღვდელი მ. კონტრიძე. რაგვარის სიტყვით ან რჩევით დაითანხმა გლეხები, ჩვენ არ ვიცით, რადგან არ შეგვიტყვია იმისი მოსვლა. მეორეს დღეს შემთხვევით შევიტყეთ და მივედით შესატყობლად. აღმოჩნდა, რომ უკვე ამოერჩიათ ოთ-

სიოდ-ხუთიოდე გლეხკაცი, რომელთაც ენკენისთვეში უნდა დასხვედრონ დამთავრებული შენობა, წინააღმდეგ შემთხვევაში თითოეულმა გლეხმა ხუთი თუმანი ჯარიმა უნდა გარდაიხადოს. რაიცა შეეხება დაკარგულს მასალას, იგი უნდა მოგროვდეს. ეს დამოკიდებულია მამასახლისის გამჭრიახობისაგან, და ვნახოთ, რა იქნება! სკოლის ასაშენებლადა და გასამართავად აღუთქვა მამა კონტრიძემ ოც-და-ხუთი თუმანი ანუ მეტი... რატომ არ შეატყობინეს და არ დაისწრეს ადგილობრივი თავადიშვილები, არ ვიცით, საჭირო კი იყო იმათი დასწრება, მით უმეტეს, რომ აუცილებლად საჭიროა მათი დახმარება და მზრუნველობა; უამათოდ-კი გლეხებს, ისედაც დაღატაკებულთ, გაუჭირდებათ სკოლის გაძღოლა!.. იმედია, არც ერთი ერედველი თავადიშვილი უკან არ დაიწევს და აღთქმულს შეწევნას არ მოაკლებს. ასე და ამ გვარად იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემოდგომაზედ ერედველებს სამრევლო სკოლა გვექნება და ჩვენის გლეხის შვილები, დღემდის ბნელად დატოვებულნი, დაიწყებენ სკოლაში სიარულს და ისწავლიან წერა-კითხვას მაინც. კარგი იქნება, ეხლავე რიგიანი გამოცდილი მასწავლებელი იქმნას დანიშნული, თორემ თუ ჩვენს გლეხს იმედი გაუცრუვდა იმისა, რასაც იგი მოელის სკოლისაგან, თქვენი მტერია, გადიქცევა ურწმუნო თომად და პირველი მტერი ის იქმნება სკოლისა.

ორიოდე სიტყვა გზის შესახებაც. შინ რო ბავშვი ტიროდეს, გარეთ ტაბლას რა ხელი აქვსო, ნათქვამია და მართალიც არის. ერედველებს ერთი რიგიანი გზა არა გვაქვს, იმისი გაკეთება [illegible] ბეგარად ერეკებიან ბეჟავთ. კარგი იქნება, ამ გარემოებას მიაქცევდეს ყურადღებას ადგილობრივი მამასახლისი, ითხოვდეს მთავრობისაგან ნება-რთვას სოფელში საჭირო გზებას გაკეთებისას დაგვაკეთებდეს. ისა სჯობია, აქ გაკეთდეს გზები, ხალხის ოცის ვერსის მანძილზედ გარეკვას გზების გასაკეთებლად.

ამინდი ცივი, წვიმიანი და ქარიანია. ჭირნახულს ცუდი პირი უჩანს, მალიან გალახულია დიდის ზამთრისა და სიცივისაგან. ვენახები ნახევრობით გაფუჭებულია. ჭირნახულის და ღვინის ფასმა მაღლზედ აიწია. ფუთი ხორბალი ექვს აბაზად, მეტადაც იყიდება. სიმინდი სამ აბაზად და მეტადაც, ქერიც სამ უზალთუნად. ღვინო ადგილობრივის სარწყავით (ე. ი. ექვს ჩარექიანი) ჩვენებური ღვინო თუმნად—თორმეტ მანათად არის მაშინ, როდესაც შვიდ—რვა მანეთს არ წაუვა ხოლმე.

რ. ერედველი

# რუსეთი

სასულიერო უწყებაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ სამრევლო სასწავლებელთა მასწავლებლების ყოფა-მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ყოველ ეპარქიაში დაარსებულ იქმნას საურთიერთო დამხმარებელი კასები.

— უკვე აღნიშნულ იქმნა ის ცვლილებანი, რომელიც უნდა შემოიღოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ხელოსანთა, ვაჭართა და მოქალაქეთა წოდებაში. განზრახვა აქვს ეს სამივე წოდება ერთად შეაერთონ მოქალაქეთა სახელ-წოდებით და განსაგებად დაუქვემდებარონ ქალაქების თვით-მმართველობას. ხელოსანთ ნება მიეცემაც განსაკუთრებული საზოგადოებანი დააარსონ ხელოსნობის საქმის განსავითარებლად.

— საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს სავალდებულოდ გაჰხადოს სამინისტროს ქვემდებარე სასწავლებლების მოსწავლეთათვის ფიზიკური ვარჯიშობა და სასტიკად ადევნოს თვალ-ყური, რომ ეს საქმე სასურველ ფეხზედ იქმნეს დაყენებული ყოველ სასწავლებლის მთავრობისაგან.

— საერო განათლების სამინისტროს მმართველმა ნება დართო 1899 წლის აგვისტოდგან დაარსებულ იქმნას სამედიცინო ფაკულტეტი ნოვოროსიის უნივერსიტეტთან.

# უცხოეთი

**ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი.** თითქმის ორი კვირა გავიდა მანილის ბრძოლის შემდეგ და ამ ორის კვირის განმავლობაში დღე-დღეზედ მოელოდნენ ახალს დიდს ბრძოლას ამერიკის და ესპანიის ფლოტს შორის, მაგრამ ეს მოლოდინი დღემდის არ გამართლებულა. ამის მიზეზი უმთავრესად ესპანიის ფლოტი იყო. უკანასკნელ დრომდის არავინ იცოდა სად იდგა ეს ფლოტი და რა ჰქონდა განზრახული. დღესაც დაჭეშმარიტებით არაფერი იციან, თუმცა ზოგიერთი გაზეთი დაჟინებით გაიძახის, რომ ეს ფლოტი კუბისაკენ მოდის და ამ ჟამად მარტინიკის კუნძულის მახლობლად არისო. გამოირკვა მხოლოდ ის, რომ ფლოტი უკან, ესპანიაში არ დაბრუნებულა, არამედ ისევ ატლანტიის ზღვაშია, მაგრამ სახელდობრ რა ადგილას, არავინ უწყის. როგორც ვსთქვით, ზოგი ამბობს ესკადრა მარტინიკის კუნძულის მახლობლად არისო, ზოგი კიდევ სულ წინააღმდეგს. გაზ. „Temps“-ს ნიუ-იორკიდგან დეპეშით ატყობინებენ, მაგალითად, რომ ესპანიის ფლოტი ნიუ-იორკის ნავთ-სადგურის შესავალთან შეამჩნიესო. გაზეთის სიტყვით, ამ ამბავმა ნიუ-იორკში ერთი ალიაქოთი და აურ-ზაური გამოიწვია. ყოველ დღე ნავთ-სადგურის სიმაგრეებს ათვალიერებენ და თუ რამ აკლია, უმატებენ. მთელი ნავთ-სადგური ნაღმებით არის დაფენილი. ღამე ნავთ-სადგურის შესავალს რამდენიმე გემი ჰდარაჯობსო. ამავე დროს გაზ. „Berliner Tageblatt“-ს სწერენ, რომ ესპანიის ფლოტი ამ ჟამად მარტინიკშიაო და შეტაკება ამერიკისა და ამ ფლოტს შორის უთუოდ ამ ორ-სამ დღეში მოხდებაო. გაზეთი იმასაც უმატებს, რომ ეს ბრძოლა გადასწყვეტს ომსაო. ამ დიდის ბრძოლის მოლოდინში წვრილ-წვრილი შეტაკებები მაინც მოხდა ამერიკელებსა და ესპანელებს შორის, მაგრამ აქაც კაცი ვერაფერს გაიგებს: გაზეთების ნაამბობი ერთი-ერთმანეთს ეწინააღმდეგება. მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ადმირალმა სამპსონმა ალყა შემოარტყა პორტო-რიკოს კუნძულის უმთავრესს ქალაქ სანჟუანს და ყუმბარების სროლა დაუწყო. ზოგი გაზეთის სიტყვით ადმირალმა სამპსონმა შემდეგი შეატყობინა ამერიკის მთავრობას ამ ბრძოლის შესახებ: გათენებისას ჩემი ესკადრის ნაწილი სან-ჟუანს მიუახლოვდა, ნავთ სადგურში ესპანიის არც ერთი გემი არ იდგა. როდესაც კარგად გათენდა ქალაქის სიმაგრეებს ყუმბრები დაუშინეთ. ბრძოლამ სამი საათი გასტანა. სიმაგრეები და აგრეთვე ქალაქის ის ნაწილი, რომელიც ამ სიმაგრეების მახლობლად მდგომარეობს, ძალიან დაშავდნენ. მოწინააღმდეგემაც რამდენჯერმე გვესროლა ყუმბარა, მაგრამ ზარალი ბევრი არაფერი მოუყენებია. მხოლოდ ერთი კაცი მოგვიკლეს და შვიდი დაგვიჭრეს. არც ერთი ჩვენი გემი არ დაშავებულა. ხოლო ლონდონში მიღებული დეპეშა ამ ბრძოლის შესახებ უარესს იუწყება: სამპსონის ესკადრამ, რომელიც ცხრა გემისაგან შესდგებოდა, მიწასთან გაასწორა სან ჟუანიო. სიმაგრეები სრულიად გაანადგურა, თვით ქალაქში გემებიდგან გასროლილმა ყუმბარებმა მრავალი სახლი დააქციეს. უცხო სახელმწიფოთა ელჩები და მცხოვრებლები ათასობით გაიხიზნენ ქალაქიდგან ადმირალ სამპსონს დაუბრკოლებლივ შეეძლო ჯარი გადაესხა და ქალაქი დაეპყრო, მაგრამ ამ დროს ამბავი მიიღო, რომ ესპანიის ესკადრამ მარტინიკზედ გაიარაო და ამიტომ ქალაქის აღებას თავი მიანება და ამ ესკადრის დასახვედრად გაეშურაო. ამ ბრძოლის დროს ამერიკის არც ერთი გემი არ დაშავებულაო. ამავე დროს ისპანიიდგან დეპეშით ატყობინებენ ზოგიერთ გაზეთს, რომ ამ ბრძოლაში ესპანელებმა დაამარცხეს ამერიკელებიო. მათის სიტყვით, ბრძოლამ ორ საათს გასტანა. ესპანელებს არაფერი ზარალი არ მოსვლიათ, მხოლოდ ოთხი ჯარის-კაცი მოუკლეს და რამდენიმეც დაუჭრეს. სამაგიეროდ ამერიკელებმა ძალიან იზარალეს. ესკადრა იძულებული გახდა, ბრძოლისათვის თავი გაენებებინა და ნავთსადგურიდგან წასულიყო. ერთი გემი ისე დაშავდა, რომ სრულიად აღარ გამოდგებაო. შეტაკება ამერიკელებსა და ესპანელებს შორის კარდენიასსა და სიენფუეგოსშიაც მოხდა. ეს ქალაქები მდებარეობენ: კარდენიასი კუბის ჩრდილოეთ ნაპირზედ, ხოლო სიენფუეგოს—სამხრეთ ნაპირზედ. შეტაკება ამ ორ ადგილას ერთსა და იმავე დღეს მოხდა. ამერიკელებს აზრადა ჰქონდათ იარაღი და სურსათი გადაეცათ მეამბოხეთათვის. ამ აზრით ორსავე ნაპირას რამდენიმე გემი მიადგა სურსათითა და იარაღით დატვირთული. თან სამხედრო გემებიც მისდევდნენ. მაგრამ ესპანელებმა დროით შეამჩნიეს და სიმაგრეებიდგან ყუმბარები დაუშინეს. გაზეთები თითქმის ერთხმად აღიარებენ, რომ ამ შეტაკებაში ესპანელებმა გაიმარჯვესო: დიდად დაზარალებულნი ამერიკის გემები იძულებული გახდნენ უკან დაბრუნებულიყვნენო. გაზეთები იუწყებიან აგრეთვე ჰავანაში მომხდარ შეტაკების შესახებაც. მათის სიტყვით, ამერიკის ხუთმა გემმა ალყა შემოარტყა ჰავანნას და ყუმბარების სროლა დაუწყო. ამერიკელების საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ უცბად დილის ხუთს საათზედ საიდგანღაც ესპანიის სამი გე-

# ფელეტონი

## გელა

(პატარა სურათი თუშების ცხოვრებიდგან)

(შემდეგი *)

### III

წინაგორი გრძელი, დაცემული, ულრანჯალა ტყით დაბურული მთის შტოს შეადგენს. ამ მთის ზურგზედ ჩადის გზა პანკისში, რომელიც შეადგენს კახეთის ჩრდილოეთ-დასავლეთ კუთხეს. თავდება თუ არა მთა, მის ცხვირს უხვევს ბაწარის წყალი, რომელიც იღებს წყალს საქისტოს მთიდგან და ერთვის ალაზანს, რომელიც გაშმაგებული, ღრიალით, თითქო ხეთქილიდგან ქაფად ქცეული გამორბის წიფლოვანის ვიწრო ხეობიდგან. პანკისს ამ გზით ადის ჩამოდიოდნენ წოვა თუშები მთა-ბარში.

დაიწყო დაღმართი თუ არა, გელას გარდა სუყველანი ჩამოხტნენ ცხენებიდგან და ქვეითნი გაუდგნენ გზას. პეტრე და ალექსი ჩამოხტნენ ცხენებიდგან თუ არა, იმათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მაშინვე დაჰკრეს კიჟინა და ხტომით გაწინაურდნენ დედ მამას. ღიაღ, უხაროდათ პეტრეს და ალექსის... ახლა რა უხაროდათ? სიცხის მეტს რას იპოვიდნენ პანკისში? ეჰ, ხომ მოგეხსენებათ ბავშვის ბუნება!.. პანკისის ტყე მდიდარია სხვა-და-სხვა ნაირის ხილით, კაკლით, შვინდით, ტყემლით, კრიკინით და პანტა-მაჟალოთი—აი ეს ხილი ახტუნებდათ და ახარებდათ პეტრეს და ალექსის.

— ალექსი, მიუბრუნდა პეტრე, გზაზედ რომ კარგი კაკალი სდგას, რომ ჩავალთ, დავბლერტოთ. კარგი?

— მე შინდს დავკრეფამ, მიუგო ალექსიმ.

— კაკალი არა სჯობია შინდს განა?

— სულაც არა სჯობია კაკალი შინდს, ცხარედ წამოიძახა ალექსიმ, ისეთი კარგი შინდი ვიცი, რომ...

— შენ თუ შინდი იცი, მაშ მე კრიკინა ვიცი, გააწყვეტინა პეტრემ.

— მე წელან დედას ვკითხე, სთქვა ალექსიმ, მითხრა, რომ კრიკინა არ იქნება ჯერ მწიფეო.

ამ ბაასით მიდიოდნენ პატარა ძმები, გზაშივე ირჩევდნენ, რომელი ხილი სჯობდა და რომელი რას დაჰკრეფდა პირველად. პეტრე დაწინაურდა ალექსიზედ და მიეფარა ერთ წიფელს, ალექსიმ ვერ შეამჩნია ძმა და განაგრძო გზა იმ მოსაზრებით, რომ პეტრე წინ ეგულებოდა. ამ დროს პეტრემ ჩამოჰგლიჯა წიფლის ტოტიდან გრძელი ხავსი, გაიკეთა ულვაში და მიეშურა ძმის დასაწევნად. ალექსი შორს არ წასულიყო. ამოტუზულიყო ერთის ხის ძირკვზედ და აქეთ-იქით იცქირებოდა შიშის თვალით, რომ ძმა მოენახა. გამოჩნდა კიდეც პეტრე ხავსის ულვაშიანი ამაყად მომდინარი. დაინახა ალექსიმ თავისი ძმა თუ არა, ჯერ განცვიფრებით შეჰხედა და შემდეგ დაიწყო გულიანად კასკასი.

— პეტრე, დაიწყო ხვეწნა ალექსიმ, მეც მომიგლიჯე ხავსი, მეც გავიკეთებ.

— რო არ არის ხავსიანი წიფელი, საიდგან მოგიგლიჯო? აი წავიდეთ, შეგვხვდება და მოგიგლეჯავ, დააიმედა ალექსი პეტრემ. გაიარეს ცოტა მანძილი და მარჯვნივ, გზის ცოტა მოცილებით, ალექსიმ, რომელსაც, რასაკვირველია, უფრო თვალყური ეჭირა, დაინახა ერთი დიდი გაშლილ ტოტებიანი წიფელი, რომელიც გრძელის ხავსით იყო შემოსილი.

— აი, აი, ხავსიანი წიფელი, პეტრე, წამოიძახა გახარებულმა ალექსიმ, როდესაც მოჰკრა თვალი წიფელს.

— აბა სად არის?

— აი, აი, მიუთითა ალექსიმ.

მივიდნენ და დაიწყეს ხავსის გლეჯა. ხავსით წვერ-ულვაშის კეთებაში იყვნენ ორივე ძმა, როდესაც მოესმათ დედის ძახილი:

— პეტრე, ალექსი, სადა ხართ?

— ჰეეი, აქა ვართ, აქა! იკივლეს ბავშვებმა.

— მოდით, მიდით, ჩქარა!

— მოვდივართ, მოვდივართ. დაიძახეს ძმებმა ერთ-ხმივ, ვადაჰყარეს ხავსი და გამოუდგნენ დედ-მამას.

— სად იყავით, შვილებო? ჰკითხა დედამ, რომ მოეწივნენ.

— იცი, დედილო, დაიწყო ალექსიმ, პეტრემ წიფლის ხავსი მოგლიჯა და წვერ-ულვაში გაიკეთა.

პეტრეს ცოტა არ იყოს შერცხვა. მუქარის თვალით შეჰხედა თავისს პატარა ძმას და თითქო თავის გასამართლებლად შეუტია ალექსის.

— მე რომ მაბრალებ, განა შენ კი არ გაიკეთე?

— პირველად ხომ შენ გაიკეთე, მიუგო ალექსიმ.

— მე გავიკეთე, მაგრამ მერე ხომ შენც გაიკეთე. შენ არ იყავ რომ მეხვეწებოდი, მეც მომიგლიჯე ხავსიო? გაცხარებით დააყარა პეტრემ.

ვინ იცის სადამდინ მივიდოდა საქმე, რომ დედა არ ჩარეულიყო.

— მარტო ნუ დადიხართ, შვილებო, შორს არ მოგვცილდეთ, თორემ ლეკები დაგიჭერენ.

— დედი, განა ლეკები აქაც არიან? გაკვირვებით ჰკითხა ალექსიმ.

— როგორ არა, შვილო, ლეკები სუყველგან დადიან ამ ტყეებში; ფრთხილად იყავით შორს არ გაგვეცალნეთ, გააფრთხილა დედამ.

დედის სიტყვებმა ცოტა არ იყოს დააშიშიანა პეტრე და ალექსი. კარგა ხანს დედ-მამას არ განშორებიან. ამ ხნობით გაიარეს კიდეც ნახევარი წინაგორის გზა და გამოჩნდა ამწვანებული ნაპირები, დიდრონ ხეებისაგან დაჩრდილებული ველისა. ამ ველის ბოლოს ცივი წყალი იჟურება და ამისათვის წყაროს ველს უწოდებენ წოვები. ასე გონია, დალოცვილ ბუნებას განგებ გაუჩენია აქ წყალი, რომ დაქანცულ და მაშვრალ, ბარიდგან მომავალმა, სიცხისაგან გახურებულ მგზავრმა შეისვენოს, „შუბლი განიგრილოს“ მთის ცივის წყლით და განგრილებულმა ისევ განაგრძოს გზაო.

დაინახეს ჩვენმა პატარა მგზავრებმა ველი თუ არა, ერთი სიხარულით შეჰკივლეს „ველი წყაროო“ და გაიქცნენ. მივიდნენ წყაროსთან, დალიეს წყალი და იქვე მწვანეზედ ერთ წიფლის ჩრდილოში დაეყარნენ. ზედაც მაატანეს დედ-მამამ და ორმა ჭაბუკმა. გელამ მოინდომა მოსვენება. ჩამოვიდნენ ცხენებიდგან, რაც მძიმე საპალნე ეკიდა ხცენებს ჩამოიღეს და დაბინავდნენ ცოტა ხნობით მოსასვენებლად.

— ალექსი, წავიდეთ მაყვალი ვჭამოთ, მიუბრუნდა დაუდეგარი პეტრე.

*) იხ. „ივერია“ № 96

ეროვნული ბიბლიოთეკა

მი გაჩნდა და ამერიკელებს შეებრძოლა. ესპანელებმა ისე ძლიერ დაუშინეს ტყვია მოწინააღმდეგეს, რომ ეს უკანასკნელები ველარ გაუმაგრდნენ და უკუ იქცნენ. ამერიკელების ერთი გემი იმდენად დაშავდა, რომ სხვა გემებს მოუნდათ იმის წაღება. ამ ამბავს ქალაქ ჰავანიდგან აუარებელი ხალხი უყურებდა. ხალხი დიდის სიხარულით მიეგება ესპანელების გამარჯვებას. „გაუმარჯოს ესპანიას“ ძახილს დასასრული არა ჰქონდაო.

— გაზეთ „Times“-ის კორესპონდენტს ლაპარაკი ჰქონია ეპანიის ადმირალ მონტახოსთან, რომლის ესკადრაც დამარცხებულ იქმნა მანილში. მონტახოს უთქვამს კორესპონდენტისათვის, რომ ჩვენი დამარცხების მიზეზი გემების უვარგისობა იყოო. ჩემს ესკადრაში არც ერთი ხეირიანი და ბრძოლისათვის გამოსადეგი გემი არ მოიპოვებოდაო. რამდენი ვეხვეწე მთავრობას, რამდენი ვემუდარე იარაღი გამომიგზავნეთ და კარგი გემები მომაშველეთ-მეთქი, მაგრამ მთავრობამ ჩემს მუდარას ყურადღება არ მიაქცია. ორი საათის ბრძოლა საკმარისი იყო, რომ ამერიკის კარგად შეიარაღებულ ესკადრას სრულიად გაენადგურებინა ჩვენი უხეირო გემები. იგივე კორესპონდენტი იუწყება, რომ მანილში ამ ჟამად დიდი არეულობა არისო. მცხოვრებლები უმთავრესად ინგლისელებით არიან უკმაყოფილონიო. შიშობენ, რომ ჯარის კაცები, რომელთაც კარგა ხანია ჯამაგირი აღარ მიუღიათ, ინგლისელების სარჩო საბადებელს არ დაეცნენ და არ გასძარცონ. რაც შეეხება ამერიკის ადმირალს დევეის, ის მოუთმენლად მოელის ამერიკიდგან ჯარს და საჭირო სურსათს. უამისოთ არ შეუძლიან ნაპირზედ გადავიდეს და კუნძულში მშვიდობიანობა დაამყაროსო.

—

**იტალია.** თუმცა დღეს იტალიაში ისეთი არეულობა და ამბოხება აღარ არის, როგორც ამ ერთი კვირის თუ კვირა-ნახევრის წინად იყო, მაგრამ მთავრობას მაინც ჯერ-ჯერობით სრული მშვიდობიანობა ვერ დაუმყარებია. აქა-იქ ახალ-ახალი არეულობა კიდევ იჩენს ხოლმე თავს. საცაა თვე შესრულდება, რაც ესპანიისა და ამერიკის შორის ომი დაიწყო და ამ ხნის განმავლობაში იქ იმის მესხედი ხალხიც არ დახოცილა, რაც იტალიაში მომხდარ არეულობის დროს ორი თუ სამი დღის განმავლობაში დაიხოცა. გაზეთის სიტყვით ამ არეულობის დროს დახოცილთა რიცხვი 1000 კაცს აღემატება, დაჭრილთა რიცხვი ხომ უთვალავია. ნეაპოლსა, მილანსა და სხვა დიდ ქალაქში აუარებელი ჯარი სდგას. გაზეთების სიტყვით, მთელ იტალიაში უცხოელი აღარ მოიპოვება. თითქმის ყველანი საფრანგეთსა და შვეიცარიაში გაიხიზნენ. მთავრობა ყოველ დღე აუარებელ ხალხს აპატიმრებს; მარტო რომში ათას კაცზედ მეტია დაპატიმრებული, ხოლო მილანში 2,000-ზედ მეტი. აპატიმრებენ უმთავრესად სოციალისტებს. სხვათა შორის მრავალი მათი დეპუტატი შეიპყრეს და გაზეთი აღკრძალეს.

## ბ ე თ ა ნ ი ა

17 მაისს აკურთხებს ბეთანიის მონასტერს, მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის ექსარხოსის ბრძანებით, ქვათახევის წინამძღვარი იღუმენი კირიონი. მასთან ერთად მღვდელ-მოქმედებას შეასრულებენ სიონის კათედრის კანდელაკი ანტონ თოთიბაძე და სამების მთავარი მირონ ომანიძე.

იმდენად შესანიშნავია ხუროთ-მოძღვრების მხრივ ეს მონასტერი, რომ ურიგო არ იქნება საზოგადოებისთვის ცოტაოდენი ცნობა იმისის წარსულის შესახებ. ბეთანია სძევს ვერის ხეობაში, 15 ვერსზედ ტფილისიდგან, დიდად პატივცემულ დავით ზაქარიას ძის თ. ბარათაშვილის მამულში. შესდგება ორ საყდრისაგან: ერთია აგებული ღვთისმშობლის სახელობაზედ, მეორე-კი იკურთხება წმ. გიორგის სახელობაზედ *).

დიდი ეკკლესია, რომელსაც თავისის ხელოვნებით განცვიფრებაში მოჰყავს ყველა მნახველი, მოკლებულია წარწერას. მხოლოდ ერთს ალაგას, დასავლეთის კედელზედ, ძალიან მაღლა, ბუშთზედ, სჩანს ჯერ მნახველთაგან შეუმჩნეველი—ვგონებთ—წარწერა ხუცურის ასოებით ერთი ან ორი სიტყვა. რიგიან დურბინდის უქონლობის გამო ჯერ კიდევ ვერ გავარკვიეთ.

პატარა ეკკლესიაზედ-კი, რომელიც ამ ჟამად უნდა აკურთხონ, ორგან არის წარწერა. ამ წარწერებიდგან სჩანს, რომ ის—პატარა ეკკლესია—აშენებულია „მამასახლისის საბასგან საძვალედ ამირ-სპასალარისა, ამილბარისა ქმრისა რუსუდანისა, ასულისა კვირიკესი, მეფისა ტაშირისა“. წელიწადი არის ნაჩვენები 1196.

რამდენადაც ვიცით, ტაშირის წყალი ჩამოუდის გვერდით ლორესციხეს და ერთვის დებედას მარცხენა ნაპირიდგან. სჩანს, კვირიკე ყოფილა „მეფე“ ლორისის მიდამოში, რომელსაც ძველად ტაშირი ერქვა. მაგრამ საკვირველია, როგორ იქნებოდა კვირიკე „ტაშირის მეფე“ 1196 წელში, როდესაც მეფობდა თამარი, რომელსაც ეკუთვნოდა ეს მხარე? არც ამ დროს, არც წინად და არც შემდეგ ჩვენ აქ ტაშირის „მეფეებს“ არ ვიცნობთ. ჩვენის აზრით, ეს კვირიკე იქნებოდა ტაშირის მმართველი ან ერისთავი და მეფობა ტყუილად მიუთვისებია.

როდის არის აშენებული დიდი და ჩუქურთმის ქსოვილით მოქარგული გუმბათიანი ტაძარი? მეცამეტე საუკუნის მწერალი სუნიის არხიეპისკოპოსი სტეფანოს ორბელიანი ამბობს, რომ „ბეთანია“ ბაგრატ მეოთხის დროს (1027—1072) დიდი და ჩინებული მონასტერი იყოო. მონასტერი ორბელიანებს ეკუთვნოდა და მათ საძვალედ ითვლებოდაო. თან სტეფანოსი გვარწმუნებს კიდეც, რომ ვითომც აქ იყოს დასაფლავებული ისტორიაში ცნობილი ლიპარიტი, რომელიც დიდ როლს თამაშობდა ბაგრატ მეოთხის დროს. მისისავე აზრით, ლიპარიტი მოიკლა 1064 წელს. ორივე ეს ცნობა სიმართლეს მოკლებულია: მოუსვენარი და ჟამთა მღელვარებისაგან დაქანცული ლიპარიტი, ბოლოს შედგა ბერად ანტონის სახელით და ბევრიც იღვაწა სასულიერო ლიტერატურაში. გარდაიცვალა და დასაფლავებულია კაცხის მონასტერში იმერეთში „საძვალესა თვისსა“ (ვახუშტ., გვ. 148—149, შენ. დ. ბაქრაძის).

არის სხვა ცნობაც, რომ ბეთანია, ვითომ უფრო ადრე ყოფილიყოს აშენებული: „აქ სწავლობდა ბერი პროხორე, რომელმაც შემდეგში ბაგრატ მეოთხის დროს ააშენა, თუ განაახლა ჯვარის მონასტერი იერუსალიმში. პროხორეს დროს ბეთანია დიდი და დიდებული ლავრა ყოფილა“ (ა. ხახანაშვილი, გვ. 163, ტ. I).

ხუროთ-მოძღვრების მიხედვით, ბეთანია უნდა ეკუთვნოდეს უფრო მეათე საუკუნეს—თუ არა, მეცხრეს, ვიდრე მეთერთმეტეს. იქნება, იმ ერთმა სიტყვამ, რომელიც დასავლეთის კედელზედ აწერია, აგვიხსნას ეს ამოცანა!

გარედგან სხვაგან არსად სჩანს წარწერა.

შიგნით დიდს ეკკლესიაში არის ერთს საფლავზედ წარწერა: „ქ. აქა: მდებარე: ბარათაშვილი: სამის: შვილი: ზალ: მოიხსენე: უფალო: ვინც: წაიკითხოთ: შენდობა: უბძანოთ:

როდის შეწყდა ბეთანიაში წირვა-ლოცვა? ჩვენ გვაქვს ხელში უტყუარი საბუთი, რომ ბეთანიაში წირვა-ლოცვა ყოფილა 1677 წელს. ამ საბუთიდგან ცოცხლებად ჩანან სამ და შიოშ ბარათაშვილები **).

ამ ცნობის მიუხედავად, ჩვენ ვიცით ვახუშტის გეოგრაფიიდგან შემდეგი: „ლასტის—ციხის ქვეით, სამხრით, არის ყოვლად წმიდის მონასტერი ბეთანია გუმბათიანი, აწ ხუცის ამარ (გვ. 176).

ვახუშტი გარდაიცვალა 1772 წელს. თუ მარტო ამ წელს მივიღებთ სახეში, გამოვა, რომ 126 წლის განმავლობაში დადუმებული ყოფილა ეს ოდესმე დიდებული ლავრა, სადაც ხშირად მიბრძანდებოდა ხოლმე საავგარაკოდ თამარ მეფე. ამ დიდებულ მეფის სახე დღესაც კარგად არის დაცული დიდს ეკკლესიაში ჩრდილოეთის კედელზედ.

ამგვარად, დღეიდგან ისევ იწყებს ღაღადს ბეთანია იმ ენაზედ, რომელზედაც „ტკბილ ქართულით“ უგალობდა თავისს ქნარზედ სახელოვან მეფეს სახელოვანი შოთა!

ჭეშმარიტად დიდის პატივის ცემის ღირსია თავადი დავით ზაქარიას ძე ბარათაშვილი, რომელმაც ძალით გამოგლიჯა ხელიდგან ეს ტაძარი იმ უწყალო მტერს, რომელსაც შეუბრალებელ სტიქიას ეტყვიან.

არისტ. ქუთათელაძე

*) უფრო ვრცელი ცნობები ბეთანიის შესახებ მალე ცალკე წიგნაკად გამოვა.

*) შეიძლება ამ სამის შვილია ზემოხსენებული ზალ.

## სასამართლოს მატიანე

მღვდ. გ. ამბრიაშვილისა და სხვათა საქმე

7 მაისს ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე მღ. გიორგი ამბრიაშვილისა, მოქალაქის იაკობ ქიტიაშვილისა, გლეხის ივანე კაკაბაძისა და სხვათა, რომელთაც ისა ჰბრალდებოდათ, რომ სიცოცხლის დამზღვევ საზოგადოების „ეკვიტებლისაგან“ ფული უნდოდათ მიეღოთ მოტყუებით. ბრალდებულთ: მღ. ამბრიაშვილს იცავდა ნაფიცი ვექილი შევალიე, კაკაბაძეს—ნაფიცი ვექილი—ტურკევიჩი, ი. ქიტია-

— — —

— სად არის მაყვალი?

— არ დაინახე გზაზედ მაყვალი? აქ ბევრია.

— წავიდეთ, წავიდეთ, პეტრე, დაეღრიჯა ალექსი.

— წამოდი, სთქვა პეტრემ და ამ სიტყვებით ორივე ძმა გაეშურა ტყისაკენ.

— პეტრე, ალექსი, შორს არ წახვიდეთ, მიაძახა დედამ, როდესაც ბავშვები ის იყო პირველ ტყის ნაპირა ხეს მოეფარნენ.

— არა, დედი, შორს არ წავალთ, უპასუხეს შვილებმა. გაიარეს ტყის ნაპირი თუ არა, პეტრე შესდგა უცბათ და სმენად გარდაიქცა. ალექსიც შესდგა და განცვიფრებით ხან ძმას უცქეროდა და ხან აქეთ-იქით იცქირებოდა.

— რა არი, პეტრე? დეეკითხა ალექსი.

— დაიცა!.

— ამ სიტყვებზედ ალექსიც სმენად გარდაიქცა.

— ყუ-უუ!.., ყუ-უუ!.., გაისმა აქვე ახლო ტყის სიხშირეში.

— პეტრე, შეშინებით მივარდა ალექსი, რა არის ეგ?

— ვაიმე ლეკები მოდიან!. თქვა პეტრემ და გაიქცა ველისაკენ.

— ვაიმე, დედილო!.. ვაიმე, დედილო!.. იკივლა ალექსიმ და ტირილით გამოუდგა ძმას.

— ალექსის კივილი მოესმათ ველში დედ-მამას და იმ ორ ჭაბუკს. იკივლა დედამ და გაიქცა ტყისკენ. გელაც წამოვარდა, მოავლო თოფს ხელი და თუმცა სისუსტისაგან მუხლები ეკვეცებოდნენ, მაგრამ შვილებისადმი სიყვარულმა არ აგრძნობინა სისუსტე. ორი ჭაბუკიც თოფებ-მომარჯვებულები სწრაფად გადახტნენ ტყეში. მაგრამ ეს ოჩქოლ-ჩოჩქოლი სულ უბრალოზედ შეიქმნა. პეტრესი ბავშური ცელქობა იყო, სხვა არაფერი. პეტრეს უნდოდა ეხუმრა, შეეშინებინა ძმა და ამისათვის ხეზე მყვირალა ქედანი ლეკებად ასმინა პატარა ალექსის. ლეკები-კი არა, ქედანი იყო, რომელიც ხშირი სტუმარია იმ დაბურულ ქალწულ ტყეებისა და მაღალ ხის წვერზედ ფოთლებში დამალული, გულ მომაკვდავად, დაჰღუღუნებს ხოლმე.

რა-კი ნახა პეტრემ რომ ხუმრობა ძვირად დაუჯდებოდა, მივარდა ძმას და შოშმანება დაუწყო.

— ნუ გეშინიან, ალექსი, ვხუმრობდი, გაჩუმდი. არ მოდიან ლეკები... მაგრამ გულ-გახეთქილმა ალექსიმ ადვილად ვერ შესწყვიტა ტირილი.

— ვაიმე, რა იყო შვილებო?.. მივარდა კიდეც ამ დროს დედა. ალექსიმ შესწყვიტა ტირილი, დედის კითხვაზედ თავი ჩაჰღუნა და სიტყვა არ ამოიღო.

— რა იყო, რად ტიროდა ეს ბავშვი? მიუბრუნდა დედა პეტრეს, რომელიც მობუზული იდგა ალექსის მოშორებით.

— არაფერია... დედი... წაილუღლუღა პეტრემ.

— როგორ თუ არაფერი, მკაცრად შეუტია დედამ, სთქვი ჩქარა, რად კიოდა ეს ბავშვი.

— არაფერია... დედი... ლეკები მოდიანო, გავეხუმრე, მაგას-კი შეეშინდა და ტირილი მორთო.

— აი შე არ გასახარო, ბავშვს გული გაუხეთქე, ვიცოდი, რომ შენი უნარი იქნებოდა... მოგაშლევინებ მაგ ეშმაკობას... დამაცა!.. ამ სიტყვებით მივარდა დედა წკეპლით ხელში პეტრეს საცემლად, მაგრამ პეტრემ ისეთი მოჰკურცხლა, რომ დედა სად მოეწეოდა.

რაღა იქნებოდა, დაიმშვიდეს გული და განაგრძეს გზა. გაიარეს კიდევ რამდენიმე მანძილი და როს ჩასცილდნენ „მეღორის წყაროს“-ს, გელა მიუბრუნდა იმ ორ ჭაბუკს.

— ეხლა ახლო ვართ, ვაჟებო, მადლობელი ვარ, აღარა მიჭირს რა გაბრუნდით უკან.

— რის მადლობელი, რას ამბობ, გელა, პანკისამდის ჩაგაცილებთ.

— რა საჭიროა, არა მიშავს-რა, წადით და თქვენც თქვენ საქმეს მიჰხედეთ, ეს დრო ძვირია მეცხვარისათვის. როდის აპირობთ ბატკნის გაპარსვას? ჰკითხა გელამ.

— ამ ორ-სამს დღეში ვფიქრობდი დაწყებას.

— სად აპირობთ გაპარსვას?

— ალაზნის თავში.

— მაშ ხვალ გადახვალთ ალაზნის თავში.

— ჰო, ვფიქრობთ.

— აბა, მაშ როდის მოასწრობთ, ხომ დღესვე უნდა მოემზადნეთ ხვალისათვის სამგზავროდ. ბარგი გექნებათ. ცხენებსაც დაჭედვა დასჭირდება. საქმე ბევრია და დრო-კი ცოტა, ნუ მოსცდებით, თქვენ თქვენ საქმეს მიჰხედეთ.

— ჩვენ ჩვენ საქმეს მოვუვლით, გელავ, ხვალ თუ მაინცა და მაინც ვერ მოვასწარით, ხვალზევით ხომ გადავალთ ალაზნის თავში. ერთის დღით საქმის გადაყენებით, ვგონებთ, საქმეს არ წავახდენთ.

— არა, პარსვაში დაშურება საჭიროა, ვაჟებო. უნდა ისარგებლოთ ამ კარგ დღეებით, თორემ, ვინ იცის, შემდეგ როგორი ამინდი დადგება.

შენ ჩვენთვის ნუ სწუხდები, გელავ, ავადმყოფი კაცი ხარ: ვინ იცის, თუ დაგემართება რამე, მაშინ ხომ იცი, ჩვენ თემში აღარ გვედგომება.

— ვიცი, ვაჟებო, მაგრამ საშიშო არა არის რა. რაც სითბოში ჩამოვედი, უკეთ ვგრძნობ ჩემს თავს, ვატყობ, რომ სითბო მარგებს. რაც შეეხება ლეკებს, არც ისინი არიან საშიშო. თუ საშიშო ყოფილიყო რამე, დარაჯები შეგვატყობინებდნენ ტბათანაში.

იქ, სადაც ბაწარის ხევი უერთებს თავისს წმიდა ანკარა წყალს მღვრიევე ალაზანს, სდგას პატარა გორაკი; ეს გორაკი ითვლებოდა „საყარაულო“-დ. აქ შამილობის დროს წოვა თუშები აყენებდნენ თავიანთ დარაჯებს, რომ თვალ-ყური ედევნათ ლეკებისათვის, რომელნიც მალულად დაფარვაშებდნენ ტყეებში. სადარაჯოდ ამოირჩიეს ეს ალაგი იმისათვის, რომ აქეთ მიდიოდა თუშეთის გზა. აქედგან სამ გზით შეეძლოთ ლეკებს ასვლა ტბათანაში: ბაწარის ხევზედ, წინაგორის გზით, და ტოლოშის გორაზედ. სადარაჯოდგან დადიოდნენ თუშები და თუ ლეკის ფეხის კვალს დაინახავდნენ, მაშინვეატყობინებდნენ ტბათანაში, რომ ფრთხილად ყოფილიყვნენ. აი რა მოსაზრებით დაითხოვა გელამ გამამცილებლები. საშიშო რამ რომ ყოფილიყო, „დარაჯები შეგვატყობინებდნენ ტბათანაშიო“.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილს—ნაფ. ვაჭ. ჩემესოვი, ფიდიურსა და გობერიძეს სასამართლოს წინადადებით—ნაფიცი ვაჭ. არწრუნი. აი საქმის გარემოება:

6 ნოემბერს 1896 წ. სიცოცხლის დამზღვევ საზოგადოების „ეკვიტებლის" ტფილისის სააგენტო კანტორაში შევიდა ერთი გლეხი და განაცხადა, რომ მე სოფ. ატენის მცხოვრებელი თევდორე სვიმონის ძე ჭიღლაძე ვარ და მსურს სიცოცხლე დავაზღვიო 7000 მანეთადაო. თავის ვინაობის დასამტკიცებლად აგენტს სოფ. ატენის მღ. ამბრიაშვილის მიერ ხელ მოწერილი მოწმობა წარუდგინა, მაგრამ აგენტმა ჭიღლაძეს თარჯიმანის პირით გამოუცხადა, რომ მოწმობა არა კმარა და შენი ვინაობა უნდა შეამოწმოს ისეთმა კაცმა, რომელსაც იცნობდეს კანტორის რომელიმე მოხელეთაგანიო. ჭიღლაძემ ერთის საათის შემდეგ კანტორაში მიიყვანა ვიღაც ლევან ნურალოვი, რომელსაც აგენტი მხოლოდ პირადად იცნობდა და რომელმაც განაცხადა, რომ მე ვიცნობ გლეხს თევდორე ჭიღლაძეს და მზადა ვარ მაგის ვინაობა შევამოწმო ხელის მოწერითაო. ამის შემდეგ აგენტმა პოლიცერმაც შეიწყნარა გლეხის თევდორე ჭიღლაძეს განცხადება და საბუთის ქაღალდზედ ხელი მოაწერინა ლევან ნურალოვს თავის და ჭიღლაძეს მაგიერად, რომელმაც წერა არ იცოდა. შემდეგ ჭიღლაძე გაგზავნილ იქმნა მკურნალ მაისურაძესთან; მკურნალმა გლეხი ჭიღლაძე მაგარ აგებულობისა და კარგის ჯანის კაცად იცნო. 10 დეკემბერს ხელ-ახლად გამოცხადდა ჭიღლაძე ნურალოვთან ერთად აგენტთან, წარუდგინა 100 მან. 87 კაპ. და ამ გვარად გლეხი ჭიღლაძე დაზღვეულ იქმნა 7000 მანეთად. 1897 წლის იანვრის გასულს ამავე კანტორაში გამოცხადდა გორელი კონდიტერი ივანე დავითის ძე კაკაევი და განაცხადა, რომ ჭიღლაძე თავისსავე სოფელში უცებ გარდაიცვალა და იმისმა ქვრივმა თამარამ, როგორც ნათესავს, მე მომანდო დაზღვეულ ფულის მიღებაო. კაკაევმა თავისს სიტყვების დასასაბუთებლად აგენტს წარუდგინა: 1) მღ. გრიგოლ ამბრიაშვილის მიერ მიცემული მოწმობა, 9 იანვრის თარიღით, გლეხის თევდორე ჭიღლაძის სიკვდილის შესახებ, 2) სოფ. ატენის მამასახლისის გაბრიელ ამბრიაშვილის მიერ მიცემული მოწმობა, 10 იანვრის თარიღით; 3) მკურნალის მოწმობა, სადაც სხვათა შორის ნათქვამი იყო, რომ თევდორე ჭიღლაძე სახადისაგან გარდაიცვალაო და 4) ზემოხსენებულ მამასახლისის მიერ შემოწმებული რწმუნების ქაღალდი ივანე კაკაევის სახელობაზედ ქვრივის თამარა ჭიღლაძისაგან მიცემული. მამასახლისის მიერ შემოწმებული რწმუნების ქაღალდი საკმარისად არ იცნო აგენტმა და გამოუცხადა კაკაევს, რომ ნოტარიუსის მიერ უნდა იყოს შემოწმებულიო. ასეთი უეცარი გარდაცვალება ჭიღლაძესი საეჭვოდ ეჩვენა „ეკვიტებლის" მთავარ აგენტს და საზოგადოების პეტერბურგელმა უფროსმა აგენტმა შუამდგომლობა დაიწყო გორის სამაზრო პოლიციის წინაშე და სთხოვა გამოერკვია ამ საქმის ვითარება. პოლიციაც შეუდგა ამ საქმის გამოძიებას და აღმოაჩინა ის, რომ ჭიღლაძე ავადმყოფობდა ერთი წელიწადი, 1896 წ. სექტემბერს სწამლობდა თავის თავს ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში და მკურნალების სიტყვით ჭიღლაძეს ღვიძლზედ კიბო ჰქონია. სექტემბერშივე დაბრუნებულა ტფილისიდგან უკან და შემდეგ აღარსად არ წასულა. გარდაცვალებულის ქვრივისა და ძმის სიტყვით თევდორე ჭიღლაძეს არსად არ დაუზღვევებია სიცოცხლე და კაკაევიც იმათ ნათესავად არ მოხვდებათ. ამის შემდეგ ტფილისში დაპატიმრებულ იქმნა ის კაცი, რომელმაც აგენტს გამოუცხადა, რომ ლევან ნურალოვი ვარო და ამ სახელ წოდებით ხელიც მოაწერა საბუთის ქაღალდებს. აღმოჩნდა-კი რომ ამ კაცის ნამდვილი სახელი და გვარი სულ სხვა ყოფილა, სახელდობრ სანდრო გობერიძე. გამოირკვა აგრეთვე ის, რომ „ეკვიტებლის" ტფილისის სააგენტო კანტორაში თევდორე ჭიღლაძეს სახელ-წოდებით გამოცხადებულა თავის დასაზღვევად წყალობა ფიდიური, რომელიც კაკაევთან მუშაობდა თურმე გორში და ამ აზრით ორჯელ გაუგზავნია ტფილისში.

დაპატიმრებულმა ფიდიურმა განაცხადა, რომ მე ისე ვიქცეოდი, როგორც კაკაევი და ქიტიაშვილი მეუბნებოდნენ და ჩემის გაუგებრობისა გამო არ მესმოდა, თუ დანაშაულს ჩავდიოდიო. გამოირკვა აგრეთვე ის, რომ კაკაევსა და ქიტიაშვილთან ერთად უმოქმედნია მღ. გიორგი ამბრიაშვილს, რომელსაც დაუთანხმებია თევდორე ჭიღლაძეს ქვრივი თამარა და იმის მაზლი და რწმუნების ქაღალდზედ ხელი მოუწერიათ, რაკი დაურწმუნებიათ, რომ თევდორე ჭიღლაძე დაზღვეული იყო და თუ ამ ქაღალდებს ხელს მოაწერთ, 400 მან. მიიღებთო.

სასამართლომ ყველა ბრალდებული დამნაშავედ იცნო და დაადგინა: ჩამოერთვათ ყოველივე უფლება და უპირატესობა დამნაშავეთ და ამათგან: მღ. ამბრიაშვილი გადასახლებულ იქმნას ასტრახანის გუბერნიაში, კაკაევი და ქიტიაშვილი დაპატიმრებულ იქმნან ერთის წლითა და ოთხის თვით თითოეული ამათგანი, ფიდიური და გობერიძე-კი 4 თვით.

## დამაკვირდი

თქვიან: „მჭედელო, განმახვე მახვილი შენი, რათა მსწრაფლ განჰკვეთოს ასოთა შენთა".

ვახტანგ გორგასალ.

* * *

ჯერ არს აღმოფხვრად და განთხვევად გარე ნერგთა უკეთურებისათა.

ილარიონ ქართველი

* * *

მოიდრიკე თავი ქვეყნად და მდუმარე იყავ.

წმ. ნინო

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამერიკის ერთს ჟურნალში ბევრი საყურადღებო ცნობებია დაბეჭდილი ედისონის შესახებ. ყველამ კარგად იცის, რომ ედისონი ძლიერ ბევრსა მუშაობს. „ედისონს ორი პროცენტი გენიოსობა აქვს და ოთხმოცდა-თვრამეტი—მედგარი და შეუპოვარი შრომაო"—ამბობენ იმაზე. თუმცა ედისონი ძლიერ ბევრსა მუშაობს, მაგრამ ძლიერ ცოტა სძინავს და ძლიერ ცოტასა სჭამს. ნაცნობები ამბობენ, ედისონი მხოლოდ იმისათვის სადილობს ხოლმე, რომ სადილის შემდეგ თამბაქო მოსწიოსო. ერთხელ ედისონი ყოველ დღე-ღამე გამუდმებით მუშაობდა, დილის $5^1/_2$ საათზე იძინებდა 7 საათზე იღვიძებდა. ერთხელა ჰკითხეს საუზმის დროს, როგორა ხართო. ჩინებულად,—უპასუხა ედისონმა, მაგრამ უფრო კარგად ვიქმნებოდი, ნახევარ საათით რომ ნაკლები მძინებოდაო.

დალონება, წყენა და გაჯავრება ედისონმა სრულებით არ იცის. ერთხელ ედისონს თანაშემწემ შეატყობინა, რომ ჩვენმა ცდამ თქვენის ახალ გამოგონებაზედ ამაოდ ჩაგვიარა და აუარებელი ფული ტყუილ-უბრალოდ დაგვეკარგაო. ედისონს ამ ამბის გაგონებაზედ გაეღიმა მხოლოდ. „რას იცინით, ბ-ნო ედისონ", ჰკითხა თანაშემწემ გაკვირვებით.—„მაშ რა ვქნაო,—უპასუხა ედისონმა,—თქვენ, მგონია, ჩემს მაგივრადაც ბევრი იტირეთო". ჯერ ისევ სიყმიდგანვე უყვარდა ედისონს წიგნების კითხვა. ერთხელ ერთმა კაცმა, რომელსაც ასობითა ჰქონდა წიგნები განჯინაში, ნება მისცა—რომელი წიგნიც გინდოდეს, წაიღე და წაიკითხეო. ედისონი მოჰყვა ამ წიგნების რიგზედ კითხვას და სულ ყველა გადაიკითხა. ეხლა რომანებს მაგრე რიგად არ ეტანება და მხოლოდ ისეთს წიგნებსა კითხულობს, რომელსაც ცოლი ან მეგობრები უქებენ—საინტერესო არისო. ერთხელ ედისონი თავისს ლაბორატორიაში მუშაობდა, ჩააცივდა ერთს მანქანას და აღარ ეშვებოდა, ცოლმა დიუმას რომანი მოუტანა, სახელად „მონტე-კრისტო". ედისონმა იკითხა—კარგი რომანიაო. მერე დაჯდა და გათენებამდის ჰკითხულობდა. წიგნის კითხვა რომ გაათავა, ისევ თავისი მანქანა მოაგონდა, მთელის ოცდა-თექვსმეტის საათის განმავლობაში არ გამოსულა ლაბორატორიიდგან, არც უძინია და არც უჭამია რამ. ფონოგრაფი ამგვარად მოიგონა ედისონმა. 1877 წელს ედისონის ერთმა მოწაფემ—ჯონსონმა დაიწყო მოგზაურობა და ლექციებსა კითხულობდა ედისონის სხვა-და-სხვა გამოგონების შესახებ. ედისონმა უთხრა ჯონსონს: „ტელეფონის დიაფრაგმას რომ ნემსი დავადოთ, ლაპარაკის დროს ნემსი ხაზებს დააჩნევს, მერე რომ ნემსი ისევ ამ ხაზებზე გავატაროთ, დიაფრაგმა ისევ მოძრაობაში მოვა და განიმეორებს ტელეფონში ნათქვამ სიტყვებს". ჯონსონმა ყურადღებით მოისმინა ედისონის ეს სიტყვები და ნება-რთვა სთხოვა თავისს ლექციებში მოეხსენებინა ეს ამბავი". შემდეგ ჯონსონი წავიდა ბუფალოში და იქ წაიკითხა ლექცია. მეორე დღეს იქაურ გაზეთში უშველებელის ასოებით ეწერა: „კიდევ ერთი საოცარი გამოგონება ედისონისა—მოლაპარაკე მანქანა—სასწაულთმოქმედება ჩვენის საუკუნისა, აღწერილი გუშინ ედვარდ ჯონსონის მიერ". ჯონსონმა რომ ეს წაიკითხა, მაშინვე გამოეშურა ედისონთან.—„ეგრე ადრე რად დაბრუნდიო,—ჰკითხა ედისონმა. ჯონსონმა გაზეთი უჩვენა. იცით, რა გამოიგონეთ? ეს ხომ მოლაპარაკე მანქანაა, აი, წაიკითხეთ". ედისონი ჩაუჯდა მუშაობას და ფონოგრაფი გააკეთა.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

9 მაისი

**ნოვოროსიისკი.** 6 მაისს ღამე ცეცხლი მოეკიდა კავკავის რკინის გზის სახელოსნოებს და დაიწვა.

**ლონდონი.** მთელი ინგლისი, პარტიების განურჩევლად, დიდად სწუხს გლადსტონის გარდაცვალებას. საზოგადოებათა პალატაში წინადადება წარდგენილი, რომ გლადსტონი სახელმწიფო ხარჯით იქმნას დამარხული და ვესტმინსტერის სააბბატოში ძეგლი დაედგასო.

**მონრეალი.** ესპანიის ახალმა სამხედრო გემებმა გაიარეს ახალ-შოტლანდიის მახლობლად. ჰფიქრობენ, რომ გემები თავს დაესხმიან ამერიკის ატლანტიის ზღვისკენ მდებარე ქალაქებსა და ნავთ-საყუდელებსაო.

**ვაშინგტონი.** ცნობა მოვიდა იმის შესახებ, რომ ესპანიის ესკადრა აღმოსავლეთის სანაპიროებს უახლოვდებაო.

**ლონდონი.** „Times"-ი სწერს, რომ ინფლუენციამ შეარყია ბალფურის ჯანმრთელობა, გულის მოძრაობა დაუსუსტა და ამის გამო აღარ შეუძლიან გონებრივი და ფიზიკური მუშაობაო.

**ჰავანნა.** ამერიკის ორი გემი თოფებს ესროდა გუანტანლის შესავალს. ესპანიის გემი პასუხს აძლევდა. ზღვაოსანმა ჯარმა ნება არ მისცა ჯარი ნაპირზედ გადმოესხათ. მტრის გემები უკან დაბრუნდნენ.

ადმირალ სერვერის ესკადრამ მშვიდობიანათ იმოგზაურა. გზაში ესკადრას არც ერთი მტრის გემი არ შეხვედრია. ესკადრის მოსვლამ ჰავანნასა და სანტიაგოში დიდი აღტაცება გამოიწვია.

**მადრიდი.** დარწმუნებით ამბობენ, რომ ადმირალ სერვერის ესკადრა გამოვიდა სანტ-იაგოდამაო.

ამბობენ, რომ კუბის მეამბოხენი ისპანიის ჯარს შეუერთდებიან ამერიკის წინააღმდეგ საბრძოლველადაო.

**მადრიდი.** სენატი. სავასტამ ილაპარაკა სამინისტროს კრიზისის შესახებ და განაცხადა, რომ მთავრობა არ ისურვებს მშვიდობიანობის ჩამოგდებას, თუ ისპანიის სამფლობელოს რამე დააკლდება. წინააღმდეგ შემთხვევაში ისპანიამ უნდა იბრძოლოს უკანასკნელ სისხლის წვეთამდის.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნება დართო გამოცემულ იქმნას გაზეთი „ნიჟეგოროდის ფურცელი".

„მთავრობის უწყებაში" დაბეჭდილია ვრცელი ცნობები წარსულის წლის მოუსავლობით დაზარალებულთა გამოკვების შესახებ.

10 მაისი

**ბერლინი.** სრულებით უსაფუძვლოა ის ხმები, ვითომ გერმანია შესცვლის თავისს აზრსა და ქცევას ესპანიასა და ამერიკის შორის მომხდარ ომის გამო. გერმანია არც ერთს მხარეს არ მიემხრობა და შეერთებულ შტატების წინააღმდეგობას ხომ სრულებით არ განიზრახავს.

**მადრიდი.** ადმირალი კამარა ზღვათა მინისტრთან თათბირის შემდეგ კადიკსში დაბრუნდა. აქ ჩაიბარებს სათადარიგო ესკადრას, რომელიც მალე წავა კადიკსიდგან.

**პეკინი.** ჩინეთის ჯარი დაიჭერს ვეი-ჰაი-ვეის ორშაბათს, იაპონელების წასვლის შემდეგ. ინგლისელები გადმოვლენ ნაპირას სამშაბათს. ამ ჟამად ვეი-ჰაი-ვეიში ინგლისელების სამი სამხედრო გემია.

11 მაისი

**პეტერბურგი.** ბელინსკის გარდაცვალებიდგან 50 წლის შესრულების დღე ადლესასწაულო სხდომით გარდაიხადეს ქალაქის საბჭოს სადგომში მწერალთა კავშირის წევრთ. სხდომის შემდეგ მეჯლისი იყო გამართული.

**ასხაბადი.** პეტერბურგს წავიდა საგანგებო მატარებლით ბუხარის ემირი.

**პარიჟი.** ხელმეორედ კენჭის ყრის დროს პარიჟში ამორჩეულ იქმნენ კლოვზ გიუგი და მილვუა. უკვე გამოცხადებულია 169 არჩევანის შედეგი. ამორჩეულია: 66 ზომიერი რესპუბლიკელი, 59 რადიკალი, 34 სოციალისტი, 10 მონარქიელი, რესპუბლიკის მოზრეებმა დაჰკარგეს 12 ადგილი, სოციალისტებმა მოიპოვეს 6 ადგილი.

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ ნატალია სავიცკისას, ჟღენტის ასულს, რომელმაც შემოსწირა ჩემდამო რწმუნებულს ჯვარცხმის მაცხოვრის ეკკლესიას შემდეგი ნივთები: ერთი დიდი ღვთის მშობლის ხატი კაკლის ხეში ჩასმული და გალაქული; შვიდი შანდალი, ოთხი დიდი, ორი პატარა და ერთიც სამ-სანთლიანი, ტრაპეზზედ დასადგმელი; ერთი ტრაპეზის შესამოსელი დიბა თავის ფოჩით; ერთი ხალიჩა ტრაპეზის წინა იატაკზე დასაგები. ერთი საცეცხლური; ორი ნაჭერი ხატების დასახური ატლასისა და ორი ნაჭერი დიბა ხატების ქვეშ დასაფენი მიშურა.

გურიის ეპარქიის ჯვარცხმის მაცხოვრის ეკკლესიის შტატის მღვდელი ილარიონ მგალობლიშვილი


## განცხადებანი

**ფოთის ქალაქის გამგეობა**

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 23 აპრილიდგან მოქმედებას დაიწყებს

**ქალაქის სამკურნალო**

გარეშე მოსიარულეთათვის.

ავადმყოფებს მუდამ დღე მიიღებენ:

ქ. ი. მიქაბერიძე დილის 12—2 საათამდის.

ნ. ა. ტერ-ნიკოღოსოვი დილის 10—12 საათამდის.

დ. ს. ტერ სტეფანოვი—საღამოს $4^1/_2$—$6^1/_2$ საათამდის. სამკურნალოში შესასვლელი ფასი 20 კაპ, ღარიბებს ქალაქის გამგეობის მიერ მიცემულ ბილეთების მიხედვით უსასყიდლოდ შეუძლიანთ შესვლა. მეტად ღარიბებს ამას გარდა, მუქთადაც მიეცემათ წამალი სამკურნალოს აფთიაქიდგან.

(2—6.—2)

!!ერიდეთ არ მოსტყუვდეთ!!

**ჰიგიენური**

ბორნო-ცეიმოლის საპონი

**გ. ფ. იურგენსისა**

აქრობს ჭორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მქმელასა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილსუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი 1895 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., $^1/_2$ ნაჭერი 30 კაპ.**

იყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში აღმუროვთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრიენკთან, ძმ. პოპოვებთანა და არისტაკოვთან. (24—მ.—14)


Дозволено цензурою. Тифлисъ 11-го Мая 1898 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.